ახალი

# სხივი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პარასკევი, 26 თებერვალი 1910 წ. № 20

გაზეთი „ახალი სხივი" ღირს როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან. ნახევარი წლით 4 მ. სამი თვით: თფილისში 80 კაპ. თფილისს გარეთ 90 კ. სამი თვით თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კ. [illegible] ლოდ თვის პირველი რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება და მათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები, ადრესის გამოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 80 კაპ. სხვაგან — 40 კაპ. ცალკე ნომერი ღირს ყველგან ერთი შაური. რედაქციის ადრესი: თფილისი, ვანქის ქუჩა



ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ახალი სხივი"

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის

გაზეთი ღირს თფილისში და თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., სამი თვით: თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კ., ერთი თვით: თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კ. [illegible]

რედაქციის ადრესი: რუსის ქუჩა № 8. [illegible]

წიგნის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, тип. „Шрома", Калистрату Конст. Цуладзе.

წარმოდგენა 38 **ქართული თეატრი** წარმოდგენა 38

პარასკევს, 26 თებერვალს 1910 წ.

ბენეფისი კ. მესხისა

**ვლ. ალექსი-მესხიშვილის** და მთელი დასის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება ახალი პიესა

I.

## ხალხის სიკეთე

სამ მოქმედებათ თ. გერცლისა. თარ. აბაკელიასი.

**სოლონის** როლს შეასრულებს **ვლ. ალ მესხიშვილი. ეზოპისა—კ. მესხი.**

II.

## სიკვდილი ნაპოლეონისა

ერთ მოქმედებად თარ. **აბაკელიასი.**

**ნაპოლეონის** როლს შეასრულებს კ. **მესხი.**

**ადგილების ფასები საბენეფისოა** — **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

**შაბათს, 27 თებერვალს 1910 წ.**

ბენეფისი ნიკო გვარისა და სოსო ივანიძისა

ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ **ლ. ს. ალ.-მესხიშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება ლეონიდ ანდრეევის ცნობილი პიესა:

## დღენი ჩვენი ცხოვრებისა

პიესა 4 მოქ. არგ. ელიოზიშვილისა,

**მონაწილეობენ:** ქქ. მ. მდივანი, ნ. ჯავახიშვილი, მ. ნებიერიძე, პ. შოთაძე, ბბ. ვლ. ალ.-მესხიშვილი, ბ. ანიძე, ი. გრიშაშვილი, ი. ივანი, ნ. გვარაძე, ი. ქივიძე, დ. მგალობლიშვილი, ი. მურვანიშვილი, ვ. მატარაძე, შ. საფაროვი.

**მოწაფეებს არ შეუშვებენ**

**ფასები ჩვეულებრივია** — **დასაწყისი სად. 8 საათზე.**

რეჟისორი: **ვლ. ალ.-მესხიშვილი** — რეჟისორის თანაშემწე **გ. ურუშაძე.**

სახალხო სახლი

**კვირას, 8 თებერვალს**

სახალხო უნივერსიტეტის მოსწავლეთათვის გაიმართება

I

## სინემატოგრაფი გინეპენის

II

## კონცერტი

მონაწილეობას მიიღებენ: ქ. მინკევიჩ-მარკინა, ბბ. მაქსიმოვი, ბუნიმოვიჩი, ჯაბაური, ზირუმიანი, პაპანაკოვი, ძმ. პალცევები. — **დასაწყისი დილის 10 საათზე.**

ბილეთები იყიდება კასაში. ბილეთების ფასები 5 კაპ. 10 კაპ.

## სახაზინო თეატრი

**ლ ე ქ ც ი ა**

## ა. ნ. ლისოვსკისა

სამშაბათს 2 მარტს

**ინდივიდუალიზმი**

(თანამედროვე ლიტერატურული მიმდინარეობა)

განყ. I.

**СИНЯЯ ПТИЦА**

მე-XXX საუკუნის ლიტერატურული ევოლუცია. საზოგადოებრივი და პიროვნებითი პრობლემები. კოლლექტივიზმი და ინდივიდუალიზმი.

განყ. II.

**მეტერლინკი**

გაორებულ პიროვნების ტრაგედია ირაციონალური აემოქმედება (ბრმა) უაილები (დორიანა გრეის სურათი) **პშიბიშევსკი**

განყ. III.

გზა განკურნებისაკენ. ედუტ **გაგანი** (პან) და **მეტერლინგის ლურჯი ფრინველი**

ოთხშაბათს 3 მარტს

**კოლლექტივიზმი**

(რუსული ლიტერატურა)

განყ. 1-ლი

მე-19 და მე-20 საუკუნის დასაწყისში რუსეთის და ევროპის ლიტერატურა და ცხოვრება.

განყ. მე-2

კოლლექტივიზმი **გორკის** და **ანდრეევის** შემოქმედებაში

განყ. მე-3.

პიროვნების პროტესტი **„სანინი"** არციბაშევისა.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე ● ფასები ძლიერ დაკლებულია—20 კ-დან 2 მ-დე.

დაწვრილებით პროგრამებში

4-ს, 5-ს, 6-ს, და 7 მარტს ბ. ლისოვსკი წაიკითხავს ლექციებს ქუთაისში.

## დ. აბაშა

(სამეგრელო).

შაბათს, 27 თებერვალს, დ. აბაშაში ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ აქაური ორკლასიან სასწავლებლის სასარგებლოთ წარმოდგენილი იქნება **ი. ჭავჭავაძის**

## ბატონი და ყმა

წარმოდგენის შემდეგ გაიმართება ლიტერატურო საბავშო საღამო [illegible]

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ხონის განყოფილების წევრთა

## წლიური კრება

დანიშნულია ამა წლის 7 მარტს ხონის სავაჟო პროგიმნაზიაში, დღით 11საათზე.

კრების განსახილ. საგანია: 1) გასულის წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება. 2) მდგომარე წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა, 3) გამგეობის ერთი [illegible] არჩევა და 4) ახალ წევრთა მიღება და [illegible]... 3—1

კბილის ექიმი

## რომანიშვილი—დგებუაძისა

იღებს ავათმყოფებს 2—6 საათამდის.

პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ახალი ბინა: ავჭალის ქუჩა **№ 34.**

**კბილის ექიმი**

## ს. გამაყმამე

დილით მიიღება ავათმყოფები 11 საათიდან 2 საათამდის. საღამოს 5—7 ვერის დალმართი სახ. 15.

**ქართველთა გამომცემელ ამხანაგობის**

## „ცინკოგრაფია"

იღებს ყოველ-გვარ ზაკაზებს კლიშეებისა და ასრულებს სუფთათ თავის დროზე.

**ადრესი: თფილისი, დიდი განქის ქუჩა, სახლი № 12 ზემო სართულში.** (0—7)

**გამოვიდა ახალი № 9 სათეატრო-სალიტერატურო-სამხატვრო სურათებიანი ჟურნალი**




**თითო ნომერი ყველგან 10 კაპ.**

წლიურად 5 მ., ნახ. წლით 3 მ. ხელის მოწერა მიიღება ქართ. დრამ. საზოგ. კანტორაში იოსებ იმედაშვილთან.

ადრესი: Тифлисъ, контора Груз. Драм. об—ва, Іос. Зах. Имедашвили (სათავადაზნ. ქარვასლაში, ქართულ თეატრთან).

რედ.-გამომც. **იოსებ იმედაშვილი.**

**ვერის სახალხო აუდიტორია**

**შაბათს, 27 თებერვალს**

სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება

I

**ვაის გავეყარე**

**ვუის შევეყარე**

კომ. 3 მოქ. ვ. გუნიასი.

II

**საკონცერტო განყოფილება**

გლეხური და იმერული სცენები და სხვანი.

**ადგილების ფასები 5 კ.-დან 25 კ-დე**

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

ადმინისტრატორი: კოსინკოვი,


## თფილისი, 26 თებერვალი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ მწვავე და მოურიდებელი საერთო კამათი დამთავრდა სტოლიპინის პოლიტიკის არა სასარგებლოთ: მთელ დუმაში მხოლოდ უკიდურესმა მემარჯვენეებმა მარკოვის პირით დაუჭირეს მხარი მას, სხვებმა კი დაგმეს, რასაკვირველია, არა თანაბარი გაბედულობით და გულ-ახდილობით. ოქტომბრისტებიდან ილაპარაკეს ბ.ბ. გოლიცინმა და გუჩკოვმა, რომლების აზრს საშინაო პოლიტიკაზე და დახასიათებას ჩვენთვის მხოლოდ სიმპტომატიური მნიშვნელობა აქვს, მთავრობისთვის კი დიდათ საგულისხმიერო უნდა იყოს, რადგანაც ოქტომბრისტები ითვლებიან მთავრობის პარტიათ. აი როგორ ახასიათებს თავ. გოლიცინი დღევანდელ წუთს: „ის წესები, რომლებიც მთელ რუსეთში არის გამეფებული, აუტანელია, „დაცვის პოლიციის განყოფილების" მოქმედება **ყოველივე საზღვარს გადადის** (კურსივი ჩვენია). 17 ოქტომბრის მანიფესტით აღთქმული პიროვნების ხელშეუხებლობა მხოლოდ სიტყვათ დარჩა; სასამართლოს მიერ გამართლებულ პირებს ადმინისტრაცია ასახლებს. პოლიციელები ყოვლათ უმიზეზოთ მშვიდობიან მცხოვრებთ სახლში ეჭრებიან. ყველაფერი ეს ხდება მაშინ, როდესაც პოლიტიკურ ჰორიზონტზე ერთი შავი ღრუბელი არა ჩანს და პოლიტიკური ბარომეტრი აღნიშნავს კარგ ამინდს". ახლა მოვუსმინოთ ფრაქციის ლიდერს ოქტომბრისტ გუჩკოვს, რომელიც წიხლავს ოპოზიციონურ და რევოლიუციონურ რუსეთს და მთავრობის წინაშე რევერანსებს აკეთებს: „რამდენიმეთ რუსეთში მკვიდრი მშვიდობიანობა ჩამოვარდა. დამშვიდება მოხდა არა მარტო რევოლიუციონური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლის წყალობით, არამედ—თვით რევოლიუციონური პარტიების დაშლით და დაქსაქსვით. გარდა ამისა, ხელი შეუწყო აგრეთვე ჩვენში კონსტიტუციონურ წეს-წყობილების განმტკიცებამ და **ლიბერალურ რეფორმების მოლოდინმა** (კურსივი ჩვენია). ეს, აგრე ვსთქვათ, არის ნისიათ დამშვიდება. დღევანდელ პირობებში მე და ჩემი ამხანაგები არავითარ დაბრკოლებებს არ ვხედავთ, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტით აღთქმული მოქალაქობრივი თავისუფლების განხორციელება... ჩვენ ვუცდით. ორივე ოქტომბრისტი, როგორც მათი სიტყვებიდან ჩანს, ადასტურებენ იმას, რასაც დიდი ხანია მთელი რუსეთი ხმამაღლა ყვირის: ყველგან მშვიდობიანობა ჩამოვარდა, მაგრამ მთავრობა ამას არ ეთანხმება და ვერც დაეთანხმება, რადგანაც ამის თქმა მას ავალებს რეფორმების განხორციელებას და ის სწორეთ ამის წინააღმდეგ იბრძვის, მას 17 ოქტომბრის მოგონებაც კი აშინებს, არა თუ იმ დღის მანიფესტით დანაპირები რეფორმების ცხოვრებაში გატარება. რისი იმედით გაიძახის მ. გუჩკოვი, ჩვენ ვუცდითო ვის უცდიან ოქტომბრისტები? თავის თავის თუ მთავრობის? თუ თავის იმედი აქვთ, დეე იოცნებონ რამდენიც უნდათ! ჩვენ კი არც თავში და მით უფრო, ახლა მათი იმედი არა გვაქვს. როცა ისინი სამი წლის განმავლობაში ბევრს ლაპარაკობდენ კონსტიტუციონალურ წეს-წყობილების გამაგრების შესახებ რუსეთში და ეს თითქოს უნდა მომხდარიყოს მათი მეოხებით; ოქტომბრისტებს ალბათ, ავიწყდებით, რომ სახელმწიფო დუმის გაჩენა რუსეთში მოხთა იმათი წყალობით, რომელთა გახრწნაზე და დაქსასვაზე გუჩკოვი უსაზღვრო სიხარულით ლაპარაკობს და თუ დღეს ხალხის ორგანიზაციები დაშლილია, ძალები დაქსაქსულია, სწორეთ ამ მიზეზით აიხსნება, რომ აღარ სრულდება დანაპირები. ოქტომბრისტებს კი დუმის წარმოშობაში არავითარი წვლილი არ მიუძღვით, როცა მათ მთელი თავის ენერგია მოანდომეს სწორეთ დუმის წარმომშობ ძალასთან ბრძოლას და დღესაც ამას განაგრძობენ მთავრობასთან ხელიხელ ჩაკიდებული, როცა მათ დუმაში ამდენ ხანს ვერ შესძლეს მკვიდრი ცენტრის შექმნა, ვერ შესძლეს და არც მოისურვეს ერთი მაინც ხალხისათვის მნიშვნელოვანი რეფორმის გატარება, ამისთანა პარტიას რა უფლება აქვს კიდევ ვინმე დაარწმუნოს, რომ რეფორმის მოხდენას შევძლებთო. მათ შეუძლიათ მხოლოდ ისევ, როგორც დღემდის, დარჩენ მთავრობის პირში შემჩერე და მისგან წყალობის მომლოდინე. ოქტომბრისტებს რომ მართლა აინტერესებდეთ, რეფორმები ისინი მიხვდებოდენ, რომ დღევანდელ მთავრობას ფიქრადაც არა აქვს ძირითადი რეფორმის მოხდენა და ამის დამამტკიცებელ საბუთებს ყოველ დღე იძლევა. თვით ოქტომბრისტებიდან გამოთქმული სურვილები რამდენი აასრულა მთავრობამ? რა ბედი ეწია ბევრ ლიბერალურ კანონ-პროექტებს პირველ და მეორე დუმაში თვით მთავრობისგან შეტანილებს? წაიღო თუ არა ისინი უკან რეაქციონურზე გადასაკეთებლათ? ჩვენ გვესმის ოქტომბრისტების ტრაღიკული მდგომარეობა, ვხედავთ მათ არარაობას, ამიტომაც არ გვიკვირს, რომ ისინი სხვისი იმედით ცხოვრობენ და სებედნიერობ ისიც უნდა ვთქვათ, რომ მათი და მთავრობის ნისია რეფორმის შესახებ არავის არ ჯერა. ტყუილათ იმედოვნებს ბ. გუჩკოვი, რომ სიმართლეს მოკლებული იყოს კადეტ მაკლაკოვის (შარშან მასაც სწამდა მთავრობის გულწრფელობა და რეფორმატორული ნიჭი) სიტყვები: „ჩვენში აღარაა ახლა მხიარულება, აღარაა ის გამამხნევებელი გრძნობა, რომ ჩვენ უკეთესისკენ მივექანებით, არაა ის გამამხნევებელი შეგნება, რომ ჩვენ გამოვედით გათელილ გზაზე... არის ერთი გრძნობა, რომელიც იხატება სამი მარტივი სიტყვით. შემდეგში ასე ცხოვრება შეუძლებელია". ისიც კარგი იქნებოდა კადეტებს რომ მაინც შეეგნო თავის სიტყვების მნიშვნელობა და ამის შესაფერი პოზიცია დაეჭირათ, მარა მათი „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა უზის დიდი ზღვა"...

## სახელმწიფო დუმა.

(სააგ. დეპ.)

24 თებერვალი.

თავმჯდომარეობს თავ. ვოლკონსკი. კითხულობენ დუმის 37 წევრის მიერ ხელმოწერილ განცხადებას შინაგან საქმეთა მინისტრისადმი შეკითხვის შესახებ სარატოვის საგუბერნიო საკრებულოს უკანონო დადგენილების გამო. თხოულობენ განცხადების საჩქაროთ განხილვას. 91 ხმით, წინააღმდეგ 78 ხმისა, ირჩევენ კომისიას, რომელმაც ორი კვირის განმავლობაში უნდა განიხილოს შეკითხვა. განაგრძობენ მაგარ სასმელებზე გადასახადების შესახებ კამათს. **შეიდმანი** ამბობს, რომ არყის მწარმოებელთა შევიწროებით არ შეიძლება ლოთობის მოსპობა. **ჩელიშევი** აღნიშნავს, რომ არყის გამოხდის საქმე ვერ არის რიგზე დაყენებული. სამინისტრო უწესო სისტემის გამო საერთოთ 40 მილიონ მანათს მეტს იხდის. მისი აზრით საჭიროა სპირტის გამოსახდელათ დაინიშნოს საჯარო ვაჭრობა. დასასრულ 102 წევრის მიერ ხელმოწერილი წინადადება შეაქვს გადასდონ ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა, სანამ არყის ქარხნების პატრონთათვის უაქციზოთ არყის გამოხდის ნების შესახებ საკანონმდებლო წინადადებას განიხილავენ. (ტაშის ცემა მარცხნით და მარჯვნით) ფინანსთა მინისტრი აცხადებს, რომ ჩელიშევის სიტყვაზე ის პასუხის გაცემას საჭიროთ არ სცნობს. ის დარწმუნებულია, რომ დუმა აშკარა უკანონობის გზას არ დაადგება. **შუბინსკი** ოქტომბრისტ. სახელით ამბობს, რომ ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის გადადება შეიძლება, მაგრამ ჩელიშევის მიერ წამოყენებული მიზეზები სრულიათ დაუსაბუთებელია. ჩელიშევის კანონ-პროექტი ეს ფილკინას ღრამოტაა, რომელიც ძლივს გაარჩია კომისიამ (ხმები: ეს სისაძაგლეა, უნდა პატივი სცენ დეპუტატებს. გამორიცხეთ შუბინსკი. თავმჯდომარე შენიშვნას აძლევს). მიაგკი აცხადებს, რომ სამიკიტნოების გამრავლებით მთავრობა ხელს უწყობს ლოთობას. ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლა სამღვდელოებას შეეძლო, მაგრამ ის არა თავის საქმეს დაადგა და ბევრი წყალია საჭირო მათ მოსანათლავათ და გასაწმენდათ. თავმჯდომარე აცხადებს, რომ მიაგკი შეეხო ნათვლის წმ. საიდუმლოს. მიაგკიმ ეს უარყო. თავმჯდომარე აცხადებს, რომ მიაგკის არ სცოდნია რა ილაპარაკა, ამიტომ წინადადებას იძლევა გააძეონ 5 სხდომიდან. კენჭის ყრით წინადადებას ღებულობენ. დუმა გადადის ხარჯთ-აღრიცხვის მუხლებრივ განხილვაზე. დუმა ღებულობს ყველა მუხლებს. საღამოს სხდომაზე განაგრძობენ კამათს ოპოლის საქმეზე. მამა იურაშკევიჩი ვრცელ სიტყვაში. აღნიშნავს რა შევიწროებას აყენებდენ კათოლიკები ქრისტიანებს, რომ პოლონელებმა ბევრი ცუდი საქმე უყვეს რუსებს. როდიჩევი მთავრობის პასუხში შეკითხვაზე ბევრ ტყუილებს ხედავს. უკეთუ იმ აზრის დამცველები, რომლებიც კათოლიკეთა ეკკლესიების ჩამორთმევას კანონიერათ სთვლიან საზოგადოთ ყოველივე ასეთი აქტი კანონიე-

რათ უნდა ჩასთვალონ. როდიჩევს ვერ გაუგია, რატომ არიან ისინი წინააღმდეგნი მიწების ჩამორთმევის. ის დარწმუნებულია დადგება ისეთი დრო, როცა ამ პოლიტიკის დამცველნი, გაიგონებენ თავიანთ წინააღმდეგ იმ ლოზუნგს, რომელსაც ისინი ეხლა აყენებენ. რომ რუსეთის ხალხი გაიწმინდოს ამ აქტთან სოლიდარობით, რომელსაც ასრულებენ 19,000 თავად-აზნაურთა წარმომადგენელნი, რუს მღვდლებთან ერთად, ჩვენ რუსეთის ხალხის წარმომადგენელნი ვიტყვით, რომ მონაწილეობა არ მიგვიღია. (მარცხნით ტაშის ცემა, მარჯვნით ხმაურობა.) სხდომა იხურება. შემდეგი—25 თებერვალს.

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

25 თებერვალი

**საზღვარ-გარეთ**

**ვენეცია.** ტარნოვსკაიას საქმე. თავმჯდომარე ჩვენებას ართმევს პრილუკოვს, რომელიც აცხადებს, რომ გრაფ კომაროვსკის მოსკოვში გაეცნო 1904 წელს. გრაფინამ სთხოვა მისულიყო კიევში და რჩევა მიეცა იმ პროცესის შესახებ, რომელშიაც საზოგადოება მას პასუხისმგებლათ ხდიდა. 1904 წლის ბოლოს ტარნოვსკაიამ მისწერა მას მოსკოვში, რომ ის უყვარს. ის ამ ამბავმა გააკვირვა, რადგან პირველათ უცხადებდა ქალი სიყვარულს და მისწერა, რომ არ სურს ოჯახის დატოვება, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ პრილუკოვი და ტარნოვსკაია ძალიან დაუახლოვდენ ერთმანეთს კიევში. (პრილუკოვი ჩერდება. საშინლათ ქვითინებს.) 1905 წელს ტარნოვსკაია ძალიან აღელვებული იყო და ურჩევდა მას, გაჰყროდა ცოლს. (ტარნოვსკაია რამდენიმე წუთით გადის დარბაზიდან და გული მისდის. ექიმი დახმარებას აძლევს) ის ბრუნდება. პრილუკოვი განაგრძობს: ერთხელ ტარნოვსკაიამ მას წერილი დააწერინა, რომლითაც ის სთხოვდა, რომ მომკვდარიყო, სიკვდილი არავისთვის დაებრალებიათ. მიიღო თუ არა ეს წერილი ტარნოვსკაიამ, ის დახია, მაგრამ ამან პრილუკოვი დაარწმუნა, რომ ტარნოვსკაია ყველაფერს უზამდა მას, რაც უნდოდა. პრილუკოვმა დაუმატა, რომ ტარნოვსკაია ფინანსიურ კრიზის განიცდიდა და მან დახმარება გაუწია. 1905 წლის შემოდგომაზე პრილუკოვს ურჩიეს მეგობრებმა განშორებოდა ტარნოვსკაიას. მან წერილიც მისწერა ამის შესახებ, მაგრამ მოშორება მაინც ვერ მოახერხა. თავის მოკვლა პრილუკოვმა იმიტომ მოინდომა, რომ ფულები არ ქონდა და ტარნოვსკაია სთხოვდა საზღვარ-გარეთ გასეირნებას, ამიტომ მან დახარჯა კლიენტების ფულები და გაემგზავრა ტარნოვსკაიასთან ერთათ. დაბრუნებისას მარსელში გამოეთხოვა ტარნოვსკაიას, მაგრამ პირველ სადგურიდან უკან დაბრუნდა, რომ მისი ყოველივე სურვილი აესრულებია. პრილუკოვი ქვითინით განაგრძობს, რომ ტარნოვსკაია შემდეგ რუსეთში დაბრუნდა და იქ დარჩა (?) რამდენიმე ხნის შემდეგ ისინი შეხვდენ ერთმანეთს ბერლინში. ტარნოვსკაიამ შეატყობინა, რომ ის ცოლად მიყვება გრაფ კომაროვსკის და მან, რომ თავი მოიკლას, მის სახელს წმინდათ ატარებს. შემდეგ ტარნოვსკაია კომაროვსკაიასთან ერთათ ვენეციაში წავიდა. პრილუკოვი ფეხდაფეხ მიყვა მათ და მეორე სასტუმროში გაჩერდა... (დამახინჯებულია) ჩქარა კომაროვსკი და ტარნოვსკაია ვენაში წავიდენ. პრილუკოვი მათთან ერთათ მიდიოდა მატარებელში. გზაში ტარნოვსკაიამ დაუძახა პრილუკოვს და უთხრა, რომ სძაგს კომაროვსკი და ფიცი ჩამოართვა, რომ მას მოკლავდა. ვენაში ტარნოვსკაიამ დაავალა პრილუკოვს მოეხერხებია კომაროვსკის სიცოცხლის დაზღვევა და სთხოვა ხანჯლით მოეკლა ის. პრილუკოვი ანატომიას სწავლობდა.

**ნიუ-იორკი** ბანკირ იაკობ შიფმა რესპუბლიკანურ ბანკეტზე სიტყვა წარმოსთქვა, რომ მოსალოდნელია დიდი ომი. იაპონიამ, რუსეთმა და ინგლისმა კავშირი შეკრეს, რომ ჩინეთი ვასსალურ სახელმწიფოთ გადააქციონ. ეს კავშირი—მთელი ქვეყნისთვის დიდი მუქარაა. უკეთუ ამერიკანელებმა ეს დაარღვიეს დიპლომატიური გზით მათდა უნებურათ შორეულ აღმოსავლეთის საქმეში ჩაითრევენ.

**ტოკიო.** იაპონიის გაზეთებმა ზიზღით მოიხსენიეს ამერიკანელ ბანკირის შიფის სიტყვა.

**პარიჟი.** ოპოზიციონური გაზეთები ცდილობენ, იმ პარტიის წინააღმდეგ, რომელმაც კონგრეგაციების შესახებ კანონი გაიყვანეს, დიუეზის ტრესტი გამოიყენონ, დიუეზს 5 მილიონი ფრანკი მიუთვისებია. ის დაატუსაღა ბარიანმა.

**ბრედფორდი.** გაიფიცა 70 კაცი—მატყლის მჩეველი.

**ფილადელფია.** გაფიცვის მოწინააღმდეგებმა, რომლებსაც ტრამვაის ვაგონში ქვები დაუშინეს, ხალხს რევოლვერები ესროლეს და დასჭრეს რამდენიმე კაცი. ბრბომ რამდენიმე ვაგონი დაამტვრია.

**სპარსეთი**

**ვილნო** გუშინ საღამოს მზრუნველის ბინაზე გიმნაზიელმა რევოლვერით მოკლა მისი ცოლი და მსუბუქათ დასჭრა ქალიშვილი შემდეგ თვითონ მოიკლა თავი.

**პეტერბურგი.** სამგზავრო ახალ ტარიფს ქალაქის ახლო გზებზე, 18 აპრილს შემოიღებენ, ხოლო დანარჩენ ადგილებში 1 ივლისს.

**პეტერბურგი.** ბარეშკო-ბარეშოვსკაის გადაუწყვიტეს ყოველივე ღირსება-უფლების ჩამორთმევა და გადასახლება. ჩაიკოვსკი გაამართლეს.

**ჩერნიგოვი.** ტობოლსკში გარდაცვლილმა ჩერნიგოვის გუბერნიის აზნაურმა ლავიდოვსკიმ ჩერნიგოვის თავად-აზნაურთა საკრებულოს უანდერძა 100,000 მ., საერობო საკრებულოს 80,000 მ., რომლის პროცენტები ღარიბ თავად-აზნაურებს, სოფლის საზოგადოებებს და სოფლის მეურნეობის მწარმოებელ გლეხებს უნდა აძლიონ.

**ბაქო.** სოფელ დოვრშუტაზე თავდამსხმელ ყაჩაღთაგან რომლებმაც ვაჭარი გაძარცვეს და მისი ცოლი და ცოლის ძმა მოკლეს, დაიჭირეს ოთხი კაცი.

## ბ-ნ ს. მირზოევს

მ. ს.! თქვენს „აღსარებაში“, რომლის ნაწილი დაიბეჭდა „ზაკავკაზიე“-ს მე-37 ნომერში, სხვათა შორის სწერდით: სხვადასხვა სამადლობელ წერილთა შორის ხელთ მაქვს რამდენიმე კოლექტიური წერილი იმ რედაქციების და თანამშრომლებისაგან, რომლებიც უხვათ სარგებლობდენ ჩემი ჯიბით და ახლა კი მომეტიჟრმეთვალის სახელით მნათლავენ. ეს წერილები ამტკიცებენ, რომ მე მათ ხელგაშლილათ ვეხმარებოდი.

რადგანაც აქ მითითებული არაა ის რედაქციები და თანამშრომელთა კოლეგია, რომლებიც ასე „უხვათ სარგებლობდენ თქვენი ჯიბით“ და ეს კი საზოგადოებაში სხვადასხვა ეჭვებს და გაუგებრობას ბადებს, ამიტომ საჭიროთ მიგვაჩნია მოგთხოვოთ დაასახელოთ ის რედაქციები, რომლებსაც თქვენ «ხელგაშლილათ» ეხმარებოდით და სამადლობელ წერილებსაც გიგზავნიდენ.

რედაქცია.

S. P. ამ შეკითხვის დაგვიანება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ჩვენ ვუცდიდით ბ-ნ მირზოევის წერილის დამთავრებას, მაგრამ როგორც სჩანს, დასასრული ჯერ კიდევ დიდხანს არ იქნება, შეიძლება სულაც არ იქნეს...

რედ.

## გაკვრით

ამ ბოლო დროს ჩვენში ძალიან გახშირდა ჟურნალ-გაზეთების გამოცემის საქმე. იშვიათათ შეხვდებით ისეთ კაცს, რომელიც „ერთ გაზეთს“ მაინც არ ნატრობდეს. ყველას თავის „დავითნში“ სურს იკითხოს. არსებული ჟურნალ-გაზეთებიმათარ აკმაყოფილებთ, არმოსწონთ, და ისეთი გაზეთის გამოცემის გეგმას ადგენს, რომ მისი აზრით ნამდვილი გაზეთი სწორეთ ის იქნება. საკუთარი ორგანოსთანა ღმერთს არაფერი გაუჩენია— ნატვრის კილოთი გოდებენ ასეთები. და ასეთი ოხვრა—ნატვრა-გოდება გესმის უმეტესათ ისეთი კაცისაგან, რომელსაც თავის დღეში „მოკითხვის წიგნის“ მეტი არა დაუწერია რა. და აი იწყება გაზეთების გამოცემა. კვირა არ გაივლის ისე, რომ ან დღიური, ან კვირეული გაზეთი არ გამოვიდეს-პოლიტიკური ლიტერატურული თუ იუმორისტული.

ასეთ რედაქციებში უმეტესათ ისეთი პირები იკალათებენ, რომლებსაც მწერლობა, ბეჭდვითი სიტყვის სიყვარული და სამსახური კი არ ამოქმედებთ, არამედ გაზვიადებული თავმოყვარეობა, ხშირათ მეტიჩრობა, კუდა-ბზიკაობა ან და კიდევ ვინმეს პირადი შური, თუ მტრობა. ასეთი გაზეთები შემთხვევითი გაზეთებია; აქ დგება უთავბოლო ადამიანთა კრებული და თავხედურათ ვარჯიშობენ ამ საორდღისო გაზეთის ფურცლებზე. რისთვის ან ვისთვის იბეჭდება ასეთი გაზეთები, ეს არც თვით რედაქციაში იციან ხეირიანათ.

ასეთი გაზეთების გამრავლება ნიშნავს გონებრივათ დაცემას და საზოგადო აზროვნების დაქვეითება-დაკნინებას. ასეთი გაზეთები მწერლობის განვითარებას კი არ უწყობს ხელს, არამედ რყვნის და ათახსირებს მას.

იობის მოთმინებით აღჭურვილი მკითხველი პირველ ხანებში ითმენს და ინელებს ყოველივე იმ ხურდა-მურდას, ოკოპოდოს, იწილ-ბიწილოს, რომელსაც მას აწვდიან ამგვარი გაზეთები. მარა მკითხველის მოთმინებასაც საზღვარი აქვს და აი ეცნობა რა ის პირველ-ორ-სამ ნომერს თავს ანებებს, აღარ ყიდულობს და განზე უდგება. ამას შედეგათ მოსდევს გაზეთის დახურვა.

და ეს ასეც უნდა მოხდეს. სადაც მკითხველი შეგნებულია და დაინტერესებული ბეჭდვითი სიტყვით, იქ ასეთი თავხედური ვარჯიშობა „დაუსჯელი“ დიდხანს ვერ დარჩება. ვერ ვიტყვით, რასაკვირველია, ვითომ ჩვენი მხარე მდიდარი იყოს ასეთი მკითხველებით და თან საგრძნობლათ დაინტერესებული ბეჭდვითი სიტყვით. პირიქით, შედარებით სხვა ქვეყნებთან ამ მხრით მეტათ ჩამორჩენილი ვართ, მარა ის კი თამამათ შეიძლება ითქვას, რომ მკითხველთა ის განსაზღვრული კონტიგენტი (თუმცა მეტათ მცირე) რომელიც გაზეთების (ქართულის) მკითხველათ ითვლება, შედარებით საკმარისი წინდახედულობით და პატივით ეპყრობა ჟურნალ-გაზეთების საქმეს.

ასეა თუ ისე, ზემოთ აღნიშნული ტიპის გაზეთები ერთი მეორეს მოსდევენ. ამ მხრით პირველი მაგალითის მიმცემი თფილისი შეიქნა, მარა ქუთაისმა ყველას გადააჭარბა. ქუთაისი მოდის ქალაქია. ჩვენში არსად არ არის „მაიმუნური“ მიმბაძველობა განვითარებული ისე, როგორც ქუთაისში. რა დარგიც უნდა აიღოთ, ქუთაისი მაშინვე ხელს გაიწვდის და ხელათ ჩაერევა ფერხულში; მარა ჩაერევა მისებურათ: ზერელეთ, მოუფიქრებლათ და წინ დაუხედავათ.

რაკი გაზეთების გამოცემა მოდათ გადაიქცა რაღა გასაკვირველია, თუ მოდის ქალაქი, ქუთაისი, ამ მოდას გაჰყვა. და აი ჩაღდება გაზეთების გამოცემა. კვირეულს დღიური მოსდევს, პოლიტიკურ-ლიტერატურულს იუმორისტული, მას კიდევ საყმაწვილო და ასე. ისეთ ქალაქში, სადაც მკითხველთა რიცხვი შედარებით სხვა ქალაქებთან ასე მცირეა და სადაც ერთმა კვირეულმა რიგიანმა გაზეთმა თუ „იხეირა“ ისიც დიდია—ოთხი და ხუთი სხვა კიდევ დაგვპირდა „გაბედნიერებას“. გამოვიდა „ფონი“, და ეს საკმარისი იყო. გამოდის კიდევ ხუცების „შინაური საქმე“, გაჩნდა „ვარსკვლავი“, რომელიც უკვე გაქრა ღამის წყვდიადში. ამას მოჰყვა ყოვლათ „უმარილო და უკბილო“ „ჭინკა“, ამას მოჰყვა „სკოლა და ცხოვრება“. უნდა გამოეცათ კიდევ „ბრანწი“ (სახელი რათ ღირს მარტო!) აღარ გვაკმარეს ეს და ახლა კიდევ აცხადებენ: გამოვა „ჭინკას შოლტი», ყოველ დღიური „პატარა შიკრიკი“-ო და ვინ იცის კიდევ რა! მოდი და ნუ იტყვი: „ჩვენისთანა ბედნიერი კიდევ არის სადმე ერი?“. რაღა უჭირს ბედნიერ ქუთაისს? განვითარდებიან მაშ რა იქნება! იუმორისტებიც შესაფერი ჰყავთ. „გაიხსნა პწკენის კურსები», „ლექცია კოცნაზე“, „ვირთხამ არ გიკბინოს“ და სხვა ასეთები. აი ქუთაისის, უკაცრავათ პასუხია, იუმორი. ამაზე მეტი დაცემა, ამაზე მეტი აგდება მწერლობის, ბეჭდვითი სიტყვის კიდევ შეიძლება? გასაკვირალი ისაა, რომ ასეთ სატაკი-მასხარო გაზეთების თანამშრომელთა რიცხვში ხშირათ ვხედავთ ისეთ პირებს, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ სერიოზულ გაზეთებში. არც ერთი რიგიანი, არც ერთი თავის ნაწერების პატივის მცემელი ავტორი ასეთ გაზეთებს თავის ნაწერებს არ მისცემს. თუ სხვაგან მწერლებს გადამეტებულ თავმოყვარეობაში სდებენ ბრალს, ჩვენში კი თავმოყვარეობა სულ არ აქვთ.

პრესის და შეგნებული მკითხველის წმინდა ვალია სათანადო ანგარიში გაუწიოს ამ არა ნორმალურ მოვლენას...

გალ.

## პატარა ფელეტონი

**მშვიდობიანი მწერალი.**

ზღაპარი ვლად. აზლვისა.

ცხოვრობდა ერთი გაზეთის მწერალი და სწერდა გუბერნატორზე. პირველათ ის გაუბედავათ სწერდა, მარა, ხედავს, რომ არაფერია—შეიძლება უფრო გაბედულათაც წერა და ასეც მოიქცა... დაიწყო გუბერნატორის ავათ ხსენება.

დაიბარა მწერალი გუბერნატორმა.

## ტბა

ჰავლს ამოვყევი ტბის ჯურღმულიდან,
ბაყაყთ, ტბის ჯოჯოთ მესმა ზახილი...
ნიავს გადვეც გასავრცელებლათ
ჯურღმულის სევდა, ზრახვა—სახმილი!
იქიდან ამყვა,—არ მომეკაროთ,—
უნდობი შხამი, მგესლი მახვილი!

—

ტბისა ნაპირად, ტირიფის ძირსა,
ჩემი პირველი შევთხზე სიმღერა.
შიგ ჩავაქსოვე ტკბილ ძილისპირსა
უფსკრულის ფიქრი და გულის ძგერა.

—

ირგვლივ სიჩუმე, ვით სამარეში...
დუმდა დაბლა ტბა და მაღლა ზეცა.
ამაყი მთვარე მიუდგომელად
სხივებს გვაფრქვევდა ტბასა და მეცა.

—

ვიუკადრისე განურჩევლობა:
ტირიფის ფოთლებს ამოეფარე.
და გადავსძახე სიმღერა მწარე!
კვლავ მოვიწვიე ტბისა ნიავი,
ჯურღმულის სევდა კვლავ დავაბარე!

—

მან კვლავ დაჰქროლა... ბაყაყთ და ჯოჯოთ
ზახილი მორთეს გულშემაზარი...
მაგრამ არ ჩადგა... ყველას სწამლავდა
დანაბარებით ფრთა მარდი ქარი...

—

ტირიფის ფოთლებს ამოვეფარე.
აღარ შევსწყვიტე სიმღერა მწარე...

იასამანი

## ბ-ნ ახალის სიმართლე.

„დროების“ № 35-ში ბ. ახალმა ბ. შხეფელს უსაყვედურა: რათ დასწამე ა. შანშიაშვილს ცილი, რათ არწმუნებ საზოგადოებას, რომ თითქოს მას მოქალაქობრივი მოტივები არ აინტერესებდეს და თავის პოეზიაში მხოლოდ სიყვარულს და სამშობლოს უკმევდეს გუნდრუკსო.

კიტა აბაშიძემ კარგი ხანია რაც შანშიაშვილს დაფნის გვირგვინით შეუმკო თავი. ეხლა ბ. ახალიც ცდილობს, რომ ერთი ფოთოლი თავის მხრივაც ჩაუწნას ამ გვირგვინში.

იყო დრო, როცა ჩვენში საფუძვლიან კრიტიკას ქონდა ადგილი. მოვიგონოთ ივ. გომართელის წერილები რაფიელზე, ილია ჭავჭავაძეზე, კლდიაშვილზე, ნინოშვილზე, რუსულ ლიტერატურაზე, შილერზე, აგრეთვე ყოველ წლის დასაწყისში გასული წლის ლიტერატურის განხილვა. გარდა ორიოდე ინტელიგენტისა ვინ უსმენდა ამ დროს კიტას, ზანგს, ხომლელს? მარა კაზმულ მწერლობის მიძინებასთან ერთად გომართელმაც თავი ანება კრიტიკას და დღემდის ხმა არ ამოუღია. საჯირითო მოედანი შერჩა კიტა აბაშიძეს (ხომლელმა მალე მოიდო თავქვე ბალიში და ზანგსაც ნანა გაუტკბილდა), რომელმაც თავის უპრინციპო და გამოურკვეველ „ფართო, უსაზღვრო სულით“ გუნდრუკის კმევა დაუწყო დეკადანსს, სილამაზეს, ტიტველ ქალებს და სხვა ასეთებს. რამდენიმე ფელეტონით მიმართა თანამემამულებს: იკითხეთ არციბაშევ-ბალმონტ-ბრიუსოვი, სწერეთ მათი მიმართულების მოთხრობა და ლექსებიო.

როდის იყო ეს? როცა რუსეთში დეკადანსმა ფრთა გაშალა, როცა რუსეთის „რევოლიუციონურ“ ინტელიგენციის ხომალდი ქვესკნელისკენ დაექანა. უმწვერვალესი აღფრთოვანება იყო, საკაცობრიო დრამის ღირს-შესანიშნავი აქტი უნდა დასრულებულიყო, ამ დროს სრულიად მოულოდნელათ ფარდა დაეშვა, დრამის კვანძი გამოუცნობელი დარჩა... თავსხარი დაეცა ინტელიგენციას—საზოგადოებრივი ცხოვრების ნაფოტს მქუხარე ზღვის მიერ ზევით ამოტივტივებულს, თავისი თავის ქვეყნის მარილათ მაღიარებელს. პროლეტარიატის სულის კვეთება თავისათ აღიარა და სასოწარკვეთით წამოიძახა: როგორ, მაშ, ჩვენი იდეალები შეიმუსრა, ვერ მოვასწარით დრამის დასასრულს? მან პროლეტარიატს წყრომით მოხედა და რა დაინახა, რომ მუშათა კლასი ხმას ვერ იღებდა, შებოჭილ-შეარტახებული იყო, „ნაცარქექია (фефела) ყოფილხარო“ მიაძახა და ისევ თავის „გულის კუნჭულებში“, „ფართო ინდივიდუალობაში“ იწყო უგზო-უკვლოთ ფოთიალი.

რა ნახა იქ?

ლუნაჩარსკი, ბერდიაევი, მერეჟკოვსკი, ფილოსოფოვი, ჩულკოვი, ივანოვი და კომ. *) ახალი სარწმუნოების ძებნას შეუდგნენ; მეორე ნაწილმა კი ცხოვრების სიბრძნეთ, სიცოცხლის ალფათ და ომეგათ სილამაზე აღიარა. დაჰკრეს ბუკი და ნაღარა არციბაშევმა, ბრიუსოვმა, ბალმონტმა, ზინოვიევამ, სოლოგუბმა, ს. ცენსკიმ და კოპ.

ერთის მხრით ახალი სარწმუნოება, მეორე მხრით შიშველი ქალები—სილამაზე,—აი ახალი მრწამსი რუსეთის ბურჟუაზიული ინტელიგენციისა, აი რით მიმართა მან მუშათა კლასს: არაფერი შეგიძლია და ისევ ღმერთს ევედრე, სილამაზის ცქერით დაიტკბე სულიო.

ამავე დროს ინტელიგენციის ერთი ნაწილი, პროლეტარიატის ღვიძლი შვილი სვაროჟიჩებათ და სოლოვეიჩიკებათ დაუსახეს საზოგადოებას.

რა იყო ამ დროს ჩვენში? როგორ შეხვდა რეაქციას ჩვენი ინტელიგენცია?

ერთმა ნაწილმა, რომელიც მშრომელი მასსის სისხლი და ხორცი იყო, მისგან შობილი, მისის ძუძუთი აღზრდილი, სავსებით შეიგნო საშინელი მდგომარეობა და მუშათა კლასთან ერთად დროებით ჩამომდგარმა, სხვა მხარეს მიაპყრო თავისი ენერგია და შრომას და იმდენი მოახერხა რომ თავისი ფიზიონ. შეირჩინა.

მეორე ნაწილს კი—რევოლიუციის „თაფლის თვეებში“ გასოციალისტებულს, სულ დაიხა ხომალდზე იალქანი, კომპასიც დაეკარგა და უღუზო ხომალდით გადაეშვა ცხოვრების ტალღებში...

და მეყვსეულათ გააფხაჰუნა კეტამ თავისი კალამი...

რობაქიძეც გამოჩნდა ცის კაბადონში...

მიბაძევით არციბაშევ-სოლოგუბებსო, დაღადჭყო კრიტიკოსმა.

მისტიციზმი და მისი ჯადო, [illegible] ხა „ფილო[illegible]ფოსმა“.

ორთავემ კი საზოგადოებას სილამაზის რელიგია მიაწოდეს, „ხელოვნება ხელოვნებისათვისაო“ აღიარა დვუუმვირატმა.

შემთხვევითი როდია ამ დღეებში მათ მიერ ქუთაისის თეატრში ოსკარ უალდზე ატეხილი სიტყვის ქარბუქი. ვითომ გააცნეს ქუთაისლებსაც მშვენიერების ქურუმი, ცხოვრების მიერ სასიკვდილოთ გამზადილ კლასის იდეოლოგი, მარა დარწმუნებული ვარ, რომ თეატრიდან გამოსვლისას იმდენს წამოიღებდენ ამ ლექციებიდან ქუთაისლები სახლში, რამდენსაც თეატრის კედლები.

ერთის სიტყვით, დაიწერა რეცეპტი და კიტაც შეუდგა მისი შედეგების ძებნას და ჰპოვა იგი:

შანშიაშვილი და გრიშაშვილი...

აი ჩვენი ცხოვრების, დახავსებულ სულისა და გულის განმახარებელი მერცხლებიო დაიძახა და თავისიანებსაც მიულოცა. ასეთივე აღტაცება მოგვარა მას ადამაშვილის რამდენიმე მოთხრობამ. გამოქვეყნდა ვასილ ყიფიანის დრამა — ამის წინაც მიულოცეს კრიტიკოსთან ერთად ყველა კიტელებმა. ს. გლახაშვილიც უნდოდათ თავის უზომო „წყურვილით“ აეჩოჩებიათ [illegible]რონულ კვარცხლბეკზე, მარა უცებ [illegible]ოვზი ჩაუარდათ ნაცარში.

ამ დროს დაიბეჭდა შხეფელის ორი ფელეტონი ჩვენს გაზეთში. მან უკვე არსებული ფაქტი—ჩვენი ახალგაზრდა პოეტების ორ ბანაკში ყოფნა აღნიშნა და [illegible]ითეული ბანაკი მოკლეთ დაახასიათა. [illegible] მხრით დააყენა შანშიაშვილი და [illegible] და მეორე მხრით კი რუ-

*) ჩვენ აქ მხოლოდ [illegible] ვაერთებთ, რომელნიც ერთ ხაზზე [illegible]

— რას ნიშნავს ეს? ა? კრიტიკას მიკეთებ? ავათ მიხსენიებ? ა? ეხლავე გაიპარე, არ დაგლანდოს ჩემმა თვალმა დღეიდან ჩემს გუბერნიაში.

მოჰკრა მწერალმა თავისი მონაგარი, ავეჯი; თათარს მიჰყიდა ახალი სერთუკი, რომ მით სამგზავრო ბილეთი ეყიდა და წავიდა მეორე გუბერნიაში.

შეისწავლა, დაუკვირდა იქაურობას და დაიწყო ისევ წერა, ისევ გუბერნატორზე.

აი შე გაქნილო! დაუყვირა გუბერნატორმა. ჩემს მოქმედებებს არჩევ? ა? ჩემს განკარგულებებს იღებ სასაცილოთ? ა? გაქრი, რომ შენი „დუხი" არ იყოს ჩემს გუბერნიაში!

აქაც მოკონა თავისი ბარგი-ბარხანა მწერალმა და გადასახლდა მესამე გუბერნიაში. იქ თუმცა ცოტაოდენი შიმშილი განიცადა, მარა ხალხს გაეცნო, ადგილობრივ ცხოვრებას დაუკვირდა და ისევ შეუდგა წერას, რასაკვირველია, გუბერნატორზე.

— ა, შე გიჟო, შენა! რევიზიას ახდენ? ა? სამასხროთ მიღებ? ა? მარშ, არ გნახო ჩემს გუბერნიაში.—უბრძანებს გუბერნატორი.

მწერალიც შორდება. ის მიდის სხვა გუბერნიაში. ამ სახით მან ყველა გუბერნიები შემოიარა შავი ზღვიდან დაწყებული თეთრ ზღვამდე. იქ კი დაბინავდა და დაიწყო წერა... არ მოუსწრია ორი-სამი წერილის დაწერა ადგილობრივ გუბერნატორზე, რომ უკვე დაიბარა გუბერნატორმა გასასამართლებლათ.

— ა? შე ფუსუნსალავ! ჩემს კრიტიკას ეწევი? ა? ავათ მიხსენიებ? ეხლავე გაქრი ჩემი გუბერნიიდან.

მეტი გზა აღარ იყო—აქაც მოჰკრა ბარგი. დაიჭირა ხელთ და გაუდგა ზღვის პირათ. ჩაჯდა იქ ლერწამში და მწარეთ დაღონდა. ცივა... ჰქრის... ზღვაზე ყინვა მეტის მეტი სიცივისაგან სკდება. მოისმის ყინვის ტკაცა-ტკუცი. მწერალი კი უნდა წავიდეს... მდუღარე ცრემლებით ატირდა ის... გაიხედა, ვიღაც მოდის.

კეთილო ადამიანო,—მიმართა მას მწერალმა:—ღვთის გულისათვის მითხარი: ზღვას გაღმა თუ არის რომელიმე გუბერნია, ან როგორ შემიძლია იქ მისვლა.

შეხედა მას მგზავრმა და მიუგო:

— ზღვას იქით არავითარი გუბერნია არ არის. აქ გათავდა ყველა გუბერნიები.

— მწერალმა ზღვის გველთევზივით დაიღმუილა.

— რა მეშველება მე უბედურს—სტირის ის— სად წავიდე მე საწყალი—მოსთქვამს ის,—თუ ამას იქით არავითარი გუბერნია აღარ არის.

— უკან დაბრუნდი—ეუბნება მგზავრი—იქ რამდენიც შენს სულსა და გულს მოესურვება, იმდენი გუბერნიაა.

— ჩემთვის ეს დიახაც სასიამოვნო იქნებოდა,—მიუგო მწერალმა,—მარა არ შემიძლია ასე მოვიქცე: ყველა გუბერნიებიდან—შავი ზღვიდან დაწყებული თეთრ ზღვამდე—გამომაძევეს. ეხლა ერთი საშუალება დამრჩენია მხოლოდ: მოვნახო თეთრ ზღვაზე გაუყინავი ადგილი და თავდაყირა გადავეშვა შიგ..

— ცუდათაა შენი საქმე, — მიუგო მგზავრმა.—მერე, რისთვის გამოგაძევეს, რა დანაშაულისთვის?

— გაზეთის მწერალი ვარ—მიუგო საწყალმა მწერალმა — გუბერნატორებზე ვსწერ, ამისთვის მაძევებენ. ზოგან ერთ თვეს იცხოვრებ, ზოგან ერთი კვირის შემდეგ გთხოვენ მიბრძანებას. ასე შემოვიარე ყველა გუბერნიები.

— ეხ, როგორი გამოუცდელი რამ ყოფილხარ! —მიუგო მგზავრმა.—როგორც სჩანს, შენ რომელ გუბერნიაშიც ცხოვრობ, იმ გუბერნატორსვე ლანძღავ.

— მაშ, როგორ,—წამოიძახა მწერალმა,—თავის თავად ცხადია,—იმასვე ვლანძღავ.

— მაშ, აწი ერთ გუბერნიაში იცხოვრე, მეორე გუბერნიის გუბერნატორი ლანძღე. მეორეში გადასახლდი—პირველის ლანძღე და ასე... ამნაირათ ყველა გუბერნატორებსაც გალანძღავ, შენც უვნებელი და მაძღარი დარჩები.

სთქვა ეს და მგზავრიც გაჰქრა. თითქოს მიწამ ჩაყლაპაო... მხოლოდ ღრუბელი მოსჩანდა იქ, სადაც მგზავრი იდგა.

მას შემდეგ ბედნიერათ ცხოვრობს ის მწერალი. ერთ გუბერნიაში ცხოვრობს, მეორეს გუბერნატორს—„სცხებს"; პირველის დასურათხატება თუ სურს, მეორე გუბერნატორის გუბერნიაში გადადის და ასე...

გასუქდა. მუცელიც წამოეზარდა. მკერდს ოქროს საათი უმშვენებს ოქროსავე ძეწკვით. მხოლოდ ერთი უბედურებაა: არ შეუძლია ოჯახს მოჰკიდოს ხელი—დაცოლშვილდეს, ვინაიდან, ძნელია ცოლშვილით ასე ხშირათ ერთი გუბერნიიდან მეორეში თრევა...

---

# ახალი ამბები

**ჟანდარმის მოკვლა.** ქალაქ ერივანში, საღამოს 6 საათზე, ბებუთოვის ქუჩაზე, ვიღაც უცნობებმა რევოლვერის ტყვიით მოკლეს გუბერნიის ჟანდარმთა უფროსის თანაშემწე ბურკაცკი, მკვლელები მიიმალენ. (კავკ.)

**კოტე მესხის ბენეფისი.** დღეს, ქართულ თეატრში, მსახიობ კ. მესხის საბენეფისოთ, წარმოდგენილი იქნება ორი ახალ პიესა „ხალხის სიკეთე"—და „სიკვდილი ნაპოლეონისა".

**შემოწირულებ**ა. გაზ. „ორიზონის" სიტყვით, ვაჭარ ს. შუხიანმა, 20,000 მ. ღირებული სახლი უანდერძა ერევნის გუბერნიის სომხურ პირველ დაწყებითი სკოლებს. ამ სახლის შემოსავლით მოხმარდება აგრეთვე უმაღლეს სასწავლებლების მოსწავლე ახალგაზრდობას.

**კაპიტალისტების კამპანია.** კაპიტალისტებს გადაუწყვეტიათ, სარძეო დიდი ამხანაგობა დაარსონ ბაქოს გუბერნიაში, ს. გირკში.

**კავკასიის ქალთა საზოგადოებამ** კომისია აირჩია, რომელიც მასალებსა და მოხსენებას ამზადებს როსკიპობის შესახებ. როგორც ვიცით, მიმდინარე წლის აპრილში, პეტერბურგში მოხდება როსკიპობასთან მებრძოლი სიეზდი, სადაც ხსენებულ მოხსენებასაც წარადგენენ განსახილველათ.

**ტრამვაის ლიანდაგი.** ქალაქის საბჭოს მიერ არჩეულმა საგანგებო კომისიამ ტრამვაის ინჟინერის თანადასწრებით, ტრამვაის რკინის გზის ლიანდაგი დაათვალიერა ამ დღეებში. გზა ბევრ ადგილას ყოფილა გაფუჭებული და შესაკეთებელი.

**ავლაბრის პროგიმნაზია.** ქალაქის გამგეობაში საკითხი აღუძრავთ, ავლაბრის 6 კლასიანი სავაჟო პროგიმნაზია გიმნაზიათ გადააკეთონ.

**ოსმალეთის ფლოტი.** ოსმალეთის ელჩმა თფილისში ოსმალეთის ქვეშევრდომთა შორის ხელის მოწერა გამართა, ოსმალეთის ახალი ფლოტის სასარგებლოთ.

**სასამართლო.** ბათუმში, 24 თებერვალს, კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლომ, ღია კარებში, გაარჩია სილოვან ივანიაძის საქმე. ივანიაძეს ბრალად ედებოდა ქ. ბათუმში, 18 ოქტომბერს 1905 წ. პოლიცმეისტერის თანაშემწეზე და მის თანაშემწეზე თავდასხმა და დაჭრა, აგრეთვე ჯარის კაცებზე დაცემა და დაჭრა. ივანიაძე დაიჭირეს ივნისში 1909 წ. ბათუმში სხვისი პასპორტით.

ასამართლებდენ ომიანობის კანონების ძალით. სასამართლომ ივანიაძე დამნაშავეთ იცნო და სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა.

**ქართული თეატრი.** ხვალ, 27 თებერვალს, ქართულ თეატრში, დრამატიულ საზ. დასის მიერ, მსახიობ ნ. გვარაძის საბენეფისოთ წარმოდგენილი იქნება ანდრეევის პიესა „დღენი ჩვენი ცხოვრებისა". მონაწილეობას მიიღებს ვლ. ალ.-მესხიშვილი.

**ვერის სახალხო აუდიტორია.** ხვალ, 27 თებერვალს, ქართულ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება ვ. გუნიას კომედია „ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე" საკონცერტო განყოფილებით და იმერული სცენებით.

**სამგლოვიარო წერილი.** დამწუხრებული ვართ დაუვიწყარ ალექსანდრე ნ. ბახტაძის (ალი-აჯის) მოულოდნელი გარდაცვალებით: ბამენტი და ელისაბედი რუხაძეები, ი. სტურუა.

— გული დამწყვიტა ალექსანდრე ნ. ბახტაძის (ალი-აჯის) უდროოთ დაკარგვამ. არჩილ რუხაძე.

**ჟურნალისტთა საზოგადოებაში.** ხვალ, 27 თებერვალს, ქალაქის თვითმართველობის შენობაში, დღის 11 საათზე, დანიშნულია თფილისის ჟურნალისტთა საზოგადოების წევრთა კრება. კრებაზე გაირჩევა საგანგებო კომისიის მოხსენება „პრესის სინდიკატის" შესახებ.

**წ. კ. გამ. საზოგადოების მთავარ გამგეობამ.** მოაგონა ყველა ფილიალურ განყოფილებებს დააჩქარონ გასულ წლის თავიანთ ანგარიშების გამოგზავნა.

**ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი.** მოსკოვში ამ ჟამათ დასაბეჭდათ მზადდება ა. პ. ჩეხოვის თხზულებათა ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი რუსულ და სხვა ენებზე. რადგან გამომცემლებს არ მოეპოვებათ ანტონ ჩეხოვის თხზულებათა თარგმანები ქართულ ენაზე, ამიტომ გამომცემლები ქართულ საზოგადოებას თხოვენ, გაუგზავნოს მათ ქართულ ენაზე თარგმნილი ჩეხოვის თხზულებანი შემდეგის ადრესით: Москва, Лубянская площадь, контора Гемзель.

**ინტერნაციონალური დილა.** კვირას, 28 თებერვალს, სახალხო სახლში, სახალხო უნივერსიტეტის თაოსნობით, უნივერსიტეტის მოსწავლეთათვის გაიმართება ინტერნაციონალური დილა. გაიმართება კონცერტი და დივერტისმენტი ქართულ, [illegible] სომხურ და ოსურ ენებზე. მოსწავლეთათვის დილაზე დასწრება უფასოა. ბილეთების ფასი 5 კ. 50 კ.

**ბატილის საჩივრის გამო.** ტრამვაის დირექტორმა საჩივარით მიმართა ქალაქის გამგეობას, რომ მუშები უხეიროთ მუშაობენ ქალაქის ქუჩებზე, ხეებს ტოტებს სჭრიან, რის გამო ელექტრონის მავთულები ფუჭდებაო. ამის გამო საგანგებოთ არჩეულმა კომისიამ დაათვალიერა ელექტრონის მავთულები და არსათ, ამის მსგავსი, არაფერი მომხდარა.

**თფ. საურთიერთო დამხმარე ბანკის** საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე გადაწყდა, გადასდონ ბანკის საკუთარ შენობის ასაგებათ 125,000 მან. ხარჯთაღრიცხვას მალე საზოგადო კრებას წარუდგენენ დასამტკიცებლათ.

---

**შეცდომის გასწორება.** „ახალი სხივის" 14 ნომერში დასტამბულ ბ. დოსტის წერილში შემდეგი შეცდომა შეგვეპარა: სწერია: სწავლის საქმე კარგათ არის დაყენებული, ხოლო აღზრდის შესახებ ნაკლებათ უზრუნიათ. უნდა იყოს: სწავლა-აღზრდის შესახებ გამგეობას არაფერი არ მოუხსენებია.

---

**ქუთაისი.** სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის ხელმძღვანელობით თეატრში უფასოდ კვირას კითხულობენ ქართულ ენაზე ორ ორ ლექციას. თეატრი ყოველთვის ხალხითაა გაჭედილი და გულდასმით ისმენს ლექციას. ძლიერ საჭიროა ლექციების კითხვა პოლიტიკურ ეკონომიიდან და ბუნების მეტყველებიდან და იმედია გამგეობა მიაქცევს ამას ყურადღებას.

— ერთი წელიწადია არსებობს წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილება, მარა მისი არსებობა აქ ბევრმა არც კი იცის. ამ ხნის განმავლობაში მან მხოლოდ გაბრიელის გორაზე გახსნა სამკითხველო. საჭიროა პირველ დაწყებით სკოლების და სამკითხველოების გახსნა გაღმა—სიღაზე, საფიჩხია-ში და კახიანოურში.

— 20 თებერვალს გაიხსნა სათავად-აზნაურო ბანკის რწმუნებულთა კრება. ასარჩევია 105 რწმუნებული. შემდეგ რწმუნებულები აირჩევენ ბანკის თავმჯდომარეს და ზედამხედველ კომიტეტის წევრებს.

— მუხიანის სამკითხველოს გამგეობის ხელმძღვანელობით მუხიანის რაიონის სოფლის სკოლებში გამართება ლიტერატურული დილა ან საღამო „ჭეჭელის" იუბილეს აღსანიშნავათ. მასწავლებლებს წინადადება მიეცათ შეუდგენ მოსწავლეების მზადებას.

— ამავე გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის წინაშე, რომ მუხიანში დაარსოს საკვირაო სკოლა. სკოლაში იმეცადინებენ ადგილობრივი და ახლო-მახლო სოფლის სკოლის მასწავლებლები. ხანდისხან ქუთაისში წაკითხული ლექციაც წაიკითხება.

— ქუთაისის მაზრის სოფლებში გახშირდა ყვავილი, წითელა, ყელჭირვება და ხუნაგი. სამაზრო ექიმ-ფერშლები ამას ყურადღებას არ აქცევენ.

---

## ბებელი და ქალთა საკითხი.

(70 წ. იუბილეს გამო)

> სოციალიზმს ეკუთვნის მომავალი. ყველაზე უწინ კი დედაკაცს და მუშას.
>
> ბებელი.

მთელი გერმანიის პროლეტარიატმა ერთსულოვნათ, წრფელი გული და სულით იდღესასწაულა თავის მასწავლებლის და ბელადის იუბილეი. ამ საერთო დღესასწაულში მუშა ქალებსაც პირველი ალაგი უჭირავთ. ისინი იმავე აღფრთოვანებით და სიყვარულით უხდიან მადლობა იმ შესანიშნავ ადამიანს, რომელმაც თავისი მადლიანი სიტყვით ასეთი სიმარტივით ამცნო მონათ თავიანთი უმწეო მდგომარეობიდან გამოსასვლელი გზა. ბებელის თავგანწირული შრომა, მისი მხურვალე პროპაგანდა მარტო მამაკაც მუშებს კი არ ეხებოდა. ბებელი სხვებთან ერთად კარგათ ხედავდა, რომ მამაკაც მუშებს გვერდით უდგანან, მათთან ერთად შრომობდენ და იტანჯებოდენ ოჯახში, სახელოსნოში, ფაბრიკა-ზავოდებში მუშა-ქალებიც. მან თავისებური გამბედაობით წამოაყენა მეტათ მწვავე და საჭირ-ბოროტო საკითხი—„ქალთა საკითხი". მან ამცნო გერმანიის მუშა-ხალხს, რომ მათი განთავისუფლება არ მოხდება მანამდე, სანამ მათ გვერდით შინ და გარეთ მონა ეყოლებათ. „ქალთა განთავისუფლება დააჩქარებს საზოგადოების განვითარებას, განასპეტაკებს ოჯახს, საზოგადოებას და დააჩქარებს განთავისუფლებასო", ამბობს იგი თავის სამაგალითო, შესანიშნავ წიგნში. ბებელმა და მისმა თანამოაზრეებმა ჩანერგეს ამ იდეას მკვიდრი საძირკველი გერმანიაში; ისინი ყველგან დაუღალავათ ფენდენ შუქს ამ საკითხს და ამცნობდენ ქვეყანას ქალთა საკითხის აუცილებლათ გადაწყვეტას. ბებელმა დასწერა ამ საკითხზე შესანიშნავი წიგნი „დედაკაცი და სოციალიზმი", სადაც ის სავსებით არკვევს დედაკაცის მდგომარეობას დაწყებული პირველ ყოფილ კომუნიზმიდან დღევანდელ კაპიტალისტურ ხანამდე. ეს ფრიად საინტერესო და სასარგებლო წიგნი თვალ-წინ გიშლის მთელ სიბოროტეს, მთელ იმ უსამართლო ეგოიზმის სახეს, რომლის მსხვერპლი გახდენ ქალები. სამაგალითო სინამდვილით ასწერს ის ქალთა მდგომარეობას ჩვენს, კაპიტალისტურ ხანაში და ამბობს: „ქალთა საკითხი საბოლოოთ გადაჭრილათ არ ჩაითვლება მაშინაც კი, როდესაც ქალები მიიღებენ იმ უფლებებს, რომლითაც არიან დღეს აღჭურვილნი მამა-კაცები, რაც შეადგენს ქალთა ბურჟუაზიული მოძრაობის ღერძს. ქალთა საკითხი გადაწყდება მხოლოდ მაშინ, როცა მოისპობა ერთი მეორესგან დამონავება, დაჩაგვრა და ის დამოკიდებულება, რომელიც არსებობს დღეს ადამიანთა და სქესთა შორის. მაშასადამე, ეს საკითხი გადაწყდება სოციალურ კითხვებთან ერთათ. ამისათვის, ის, ვინც ცდილობს ქალთა საკითხის საბოლოოთ და სასურველათ გადაწყვეტას, უნდა შეუერთდეს მათ, ვის დროშაზედაც აწერია საბოლოოთ სოციალური კითხვების გადაწყვეტა მთელ კაცობრიობისათვის—ესენი კი სოციალისტები არიან"-ო. „არ მოხდება კაცობრიობის განთავისუფლება სოციალურ დამოკიდებულების და სრულ-უფლებიან სქესების გარეშე". ამისათვის ბებელი, თავის წიგნში, მოუწოდებს იმ ქალთ, ვისთვისაც ძვირფასია თავისუფლება ჩაეწერონ იმ რაზმში, რომელიც იბრძვის სოციალიზმისათვის, რადგან მხოლოდ მათ შეუძლიათ იმ გზით სიარული, რომელიც „აღთქმულ ქვეყანაში" მიგვიყვანს. ბებელის შესანიშნავმა წიგნმა, რომელიც 40-ზე მეტჯერ გამოიცა გერმანიაში, მთელი გერმანიის და ევროპის „ქალთა საკითხის" შესწავლა და მისი ჯეროვნათ გადაწყვეტის ბრძოლის სურვილი განამტკიცა.

გერმანიაში ქალთა საკითხი არ არის ისეთ ვიწრო კალაპოტში მომწყვეული, დაქუცმაცებული და მრავალ ფერნოვანი როგორც მაგ. ინგლისში და სხვა ევროპის კუთხეებში. აქ მხოლოდ ორი ბანაკია. ერთი მხრით მუშა ქალები მამაკაც მუშებთან ერთად, ხოლო მეორე მხრით ბურჟუაზიული ქალები და მამაკაცები. აქ არის ბრძოლა პროლეტარიატს და ბურჟუაზიას შორის. ამიტომ აქ ძალები არ იქსაქსება. მუშა ქალები მუშა მამაკაცებთან ერთათ ხელი ხელ ჩაკიდებული მიდიან წინ, საერთო მიზნისკენ. ამას ღაღადებდა შეუწყვეტლივ თავდადებული ბებელი მრავალ-რიცხოვან მიტინგებზე გერმანიაში. „ბებელი პირველი თავდადებული მებრძოლია ქალთა თანასწორობისათვის"—ამბობს კ. ცეტკინა. სხვათა შორის ს.-დემოკრატების სახელით, 1895 წ. ბებელმა შესანიშნავი სიტყვით მიმართა რეიხსტაგს და მოსთხოვა მათ ქალთათვის მიენიჭებიათ უფლება. ყოფილიყვნენ არჩეულნი სახელმწიფო დაწესებულებებში, ქონოდათ სრულ-უფლებიანი ხმა და ჩარეოდენ ყოველნაირ საქმეში მამა კაცებთან ერთად.

ნახევარი საუკუნის განმავლობაში აწარმოვა ბებელმა ეს ნაყოფიერი ბრძოლა. და ახლა შეუძლია იამაყოს ამ შრომისა და ამ ბრძოლის ნაყოფით. ვისაც წაუკითხავს ბებელის წიგნი, ვინც გასცნობია მის შრომას, მის ღვაწლს საზოგადოთ მუშებისათვის, მას შეუძლია იგრძნოს და გაიგოს თუ ვინ ყოფილა ეს შესანიშნავი ადამიანი. და რა მნიშვნელობა აქვს მის წიგნს, რომელსაც „დედაკაცის სახარებას" ეძახიან, ყოველივე უფლებას მოკლებულ მუშა-ქალების შეგნება—განვითარება—მოძრაობისათვის.

ქოჩრიანი ტორელა.

---

# უკანასკნელი ფოსტა

## საზღვარ-გარეთ

**პოლიცია და დემონსტრანტები.** ბერლინიდან „რ. ს." დეპეშით ატყობინებენ, რომ პოლიციის პრეფექტმა ხელ-

---

ხაძე, ქუჩიშვილი, თურდოსპირელი, ზომლეთელი, ბაბ—ი, ლეჩხუმელი, ტუქსიშვილი და მალაქიაშვილი; ჩვენ ჩვენის მხრით ამ უკანასკნელ სიას მივუმატებთ იასამანს, რომელიც ჩვენის შეხედულობით ყველა ზევით ჩამოთვლილებზე მაღლა დგას.

შანშიაშვილზე და გრიშაშვილზე შხეფელმა სთქვა: ესენი მხოლოდ სიყვარულს და სამშობლოს უკმევენ გუნდრუკსო.

ბ. ახალს არ მოეწონა ეს და შეუდგა შანშიაშვილის დაცვას. გრიშაშვილი კი ვერ აიყვანა კლიენტათ. ალბათ, თვითონაც კარგათ ხედავს ბ. ახალი, რომ ამ პოეტს, მართლაც, შავი თვალებისა და ძუძუ-კოკობის მეტი არაფერი ახსოვს.—სადაც არ სჯობდა, იქ გაცლა ამჯობინა ბ. ახალმა. ძალიან კარგი. შანშიაშვილის ნაწერებიდან კი მოყავს რამდენიმე ლექსი, სადაც ის მუშას იბრალებს, ციხეში მჯდომარე სწერს და სხვა. აქ სამოქალაქო მოტივებიაო. მართალია, გეთანხმებით, მარა ჯერ ერთი—როდის ა ეს ლექსები დაწერილი? განა რუსეთის უდიდესი დეკადენტი ბალმონტი არ იყო, რომ 1905 წელს პროლეტარიატს გუნდრუკს უკმევდა? განა მისი ამყოლ-დამყოლები არ იყვნენ, რომ ამ დროს მუშათა კლასის სადიდებლათ ააწრიპინეს [illegible] ლმები?

რეაქციის დროს? სანინთან ერთად [illegible] რსავინებს დაუწყეს ტანის ბანის დროს მდინარის პირათ ქურდულათ ცქერა. [illegible] ქნა შანშიაშვილმაც. ორიოდ ლექს [illegible] რევოლიუციას გამოეარშიყა და შემდეგ კი „სულამიტს", გასწია „ოცნების მხარეს" და როცა აქ გული მოიჯერა: ღმერთო რათ არ მკლავო—ო,—აიძახა, სიცოცხლე არათ ღირსო. და [illegible] ქანო გემზე მჯდომმა ინტელიგენციამაც ტაში დაუკრა ამ ლოზუნგს. ქებათა-ქება მიუძღვნეს ყველა რეფორმაციის ინტელიგენტებმა. თუმცა მაგათი ოდენი სიტკბობა ცხოვრებისათვის არც არავის გამოუწოვია და არც არავინ წოვს. ამ დროს სიკვდილის ნატვრაც ხომ ბუნებრივია! განა სენეკა არ იყო, რომ აბანოში ნებივრობის დროს არტერია გაიჭრა და წყნარათ მიიძინა?.. ეროვნული მოტივებიც რომ ბევრია შანშიაშვილის პოეზიაში ესეც ცხადია, მარა საით მოუწოდებს ის ჩვენს ერს? ჯერ „სულამიტი" და შემდეგ „ოცნების მხარე", ესეც რომ არ იყოს, რა სთქვა შანშიაშვილმა ახალი, რა სთქვა ილიაზე და აკაკიზეუკეთ?

შემდეგ. პოეტის თუ მწერლის დაფასების დროს მის ნაწარმოებთა კვინტესენციაა, სული და გულია, თავი და თავი და არა ორიოდე ლექსი. უკიდურეს პესიმისტების ნაწერებშიც კი შეხვდებით აგერ-ეგერ ოპტიმისტურ-პარადოქსალურ ნოტებს, მარა ამით მათ ოპტიმისტებს ვინ დაუძახებს? მოიგონეთ იაკობ ფანცხავას ცდა: ილია ჭავჭავაძის ლექსებიდან (გასვენების დროს) ამოჭრა ტენდენციოზურათ რამდენიმე ადგილი, მიაწება ერთმანეთს და ილიაც პირველ სოციალისტათ გამოიყვანა ჩვენში, თუმცა განსვენებული ჯერ თავის ნაწერებში და მერე ისტორიულ „ნუ თუ"-ში პირდაპირ ამბობდა: მე სოციალიზმის არა მწამს რა, მე კერძო საკუთრების თვალთახედვის ისარზე ვდგევარო. იაკობის ცდის უხერხულობა მისიანებმაც კი დაინახეს და ხმაც არ ამოუღიათ, თუმცა ყოველი საბუთი ამ დროს დიდათ ეჭირვებოდათ ერთი მიმართულების წინაამდეგ. [illegible] სე მოსდის ბ. ახალსაც. მიმოზა.

მეორეთ აუკრძალა ხალხს ს. დ. მიერ გამართულ დემონსტრაციებში მონაწილეობის მიღება. წინააღმდეგ შემთხვევაში დემონსტრანტებს ისევ იარაღით ემუქრება.

„ფორვერტსი“ ამტკიცებს პოლიციელთა განკარგულების უკანონობას და დასძენს, რომ რაც უნდა ზომები მიიღოს პოლიციამ, დემონსტრაციები მაინც მოხდება და მოუწოდებს ყველას, ვინც-კი საყოველთაო, თანაბარ, პირდაპირ და ფარულ საარჩევნო უფლებას თანაუგრძნობს, მონაწილეობა მიიღოს საპროტესტო გამოსვლებში.

გაზეთების ცნობით, პოლიციამ დაკეტა ის პარკი, სადაც ხალხი უნდა შეკრებილიყო.

„ფორვერტსის“ რედაქტორს პასუხის გებაში აძლევენ ხალხის წაქეზებისათვის, რომ დემონსტრაციებში მონაწილეობა მიეღოთ.

რადიკალური გაზეთები სასტიკათ კიცხავენ პოლიციას უკანონო განკარგულებისათვის. კიოლნში, ზოლინგენში, ლეიმიუნსტერში და სხვა ქალაქებში პრეფექტებმა გააუქმეს თავიანთი განკარგულებანი, რომლითაც ხალხს მიტინგებში და დემონსტრაციებში მონაწილეობას უკრძალავდენ.

**შურის ძიება.** ისპანიის პოლიცია ირწმუნება, რომ პორტ-შუონაში მან დაატუსაღა ერთი რუსი სტუდენტი, რომელიც 21 წლისაა. სტუდენტს ჯიბეში აღმოაჩნდა წერილები ბარცელონის ანარქისტების სახელზე გამოგზავნილი. სტუდენტი უნდა მისულიყოს ისპანიაში იმ მიზნით, რომ მოეკლა სამხედრო სასამართლოს გამომძიებელი, კომანდირი რაზო ნეგრინა, რომელმაც ფერერის საბრალმდებლო ოქმი შეადგინა.

ისპანიის რესპუბლიკანელთა წრეებში ამ ხმებს არ უჯერიან და პოლიციის განმარტებას პროვოკაციათ სთვლიან, რომელიც ძალიან ხშირი მოვლენაა ისპანიაში. რუსი სტუდენტი გაგზავნეს ბარცელონაში რუსეთის ელჩის წინაშე წარსადგენათ.

**რეიხსტაგში.** შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯთა-აღრიცხვის განხილვის დროს დეპუტატები შეეხენ მეფე იმპერატორის მოგზაურობის საკითხს ვილგელმის არხზე. ს. დ. მეკლენბურგმა მკაცრი სიტყვებით განაცხადა, რომ შეუწყნარებელია პრუსიაში რუსეთის პოლიციელთა შემოშვება, თუნდა ეს მეფის დასაცავათაც მოხდესო. დეპუტატმა იოითხოვა მცხოვრებთა ზარალის ანაზღაურება, რომელიც მათ მიაყენეს არხის დროებით დახურვით.

**მსახიობ ქალების მიტინგი.** გერმანიაში დიდებული მიტინგი გამართეს ბერლინის და სხვა ქალაქების მსახიობმა ქალებმა.

მიტინგის მიზანი იყო პროტესტი გამოეცხადებია იმ სამარცხვინო და საბრალო სოციალური მდგომარეობის წინააღმდეგ, რომელშიაც მსახიობი ქალები იმყოფებიან.

პირველმა ორატორმა-ქალმა რუბნერმა აღნიშნა, რომ მსახიობ ქალების დიდ უმრავლესობას ცხოვრება პროსტიტუციის გზაზე ერეკება. არიან ბევრი გათხოვილი და გაუთხოვარი ქალები, რომელთათვის თეატრი გარყვნილების ბუდეთ არის გადაქცეული. ამ სენთან ბრძოლა ქ-ნ რუბნერის აზრით შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მსახიობი ქალები მჭიდრო პროფესიონალურ ორგანიზაციას შექმნიან.“

მიტინგზე ილაპარაკეს ბევრმა ორატორმა ქალებმა და ბევრი მწარე სიმართლე აღიარეს. მიტინგს აუარებელი ხალხი დაესწრო.

**რუსეთი**

**ვ. ფ. კომისარჟევსკაია** 19 თებერვალს პეტერბურგში მიასვენეს. დილით ადრე ნიკოლაევის სადგურის წინ მდებარე მოედანი ხალხით გაიჭედა. ყოველგვარი მოძრაობა შესწყდა. აქ თავი მოეყარა მრავალ ათასოვან მოსწავლე ახალგაზდობას, რომელსაც უნდოდა უკანასკნელათ გამოთხოვებოდა ძვირფასს მსახიობ ქალს.

მოსწავლე ახალგაზდობამ თვითონ იკისრა წესიერების დაცვა და ხალხიც უსიტყვოთ ემორჩილებოდა მათ მოთხოვნილებას.

1 საათსა და 15 წ. მატარებელი ნელა მიუახლოვდა სადგურს. ხალხში ჩოჩქოლი შეიქნა. სამგლოვიარო ვაგონში შევიდა მღვდელი და პანაშვიდის გადახდას შეუდგა. გალობის სამგლოვიარო ხმები ქალების ქვითინს შეუერთდა და საერთო მწუხარებამ მოიცვა ყველანი.

სადგურიდან დაწყებული ალექსანდრე ნეველის ლავრამდე ყველა ქუჩები და შენობები ხალხით იყო გაჭედილი. სადგურიდან კუბო ალექს. ნევ. ლავრაში წაასვენეს. რამოდენიმე წუთის შემდეგ ეკლესია ხალხით გაივსო და უბედური შემთხვევის თავიდან ასაცილებლათ იძულებულნი შეიქნენ ეკლესიის კარები დაეხურათ და მეტი ხალხი აღარ შეეშვათ. ხალხმა დაიჭირა ეკლესიის ეზო და ახლო ქუჩები.

კუბოს გარშემო იდგენ მიცვალებულის ნათესავები. როდესაც ეკლესიაში „წმინდათა შორს“ ხმა მოისმა—ხალხში საშინელი ქვითინი მოისმა.

შემდეგ ეკლესიაში შეუშვეს დეპუტაციები, რომელთაც მთელი კუბო გვირგვინებით შეამკეს.

სულ ორასზე მეტი გვირგვინი მიართვეს მიცვალებულს.

**დეპუტატ ჩხეიძის სიტყვა.** შინაგან საქმეთა მინისტრის ხარჯთ-აღრიცხვის დროს დეპუტატ ჩხეიძემ „რუსსკოე სლოვოს“ გადმოცემით მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა, რომელიც მწვავე სარკაზმებით იყო შეზავებული.

— რამოდენიმე დღის წინათ, ბიუჯეტის განხილვის დროს დუმის უმრავლესობა ფინანსთა მინისტრთან ერთათ სიხარულს გამოსთქვამდა ხარჯთაღრიცხვის უდეფიციტოთ შედგენის გამო. ჩვენ, მემარცხენეებმა აღვნიშნეთ, რომ სიხარული უდროო და არა გულწრფელია, რადგან ქვეყანა იმავე ტუპიკშია, რომლეპშიაც წინეთ იყოფებოდა. ამ ჟამათ ჩვენს სკეპტიციზმს მომხრეები აღმოუჩნდა გუშინდელ ოპტიმისტებში.

მაკლაკოვი ამბობდა, რომ მთავრობა ჩაიჭრა რეაქციის ეგზამენზე, საზოგადოება-კი—რევოლიუციის ეგზამენზე. რადგან ყოველი სახელმწიფო, ბოლოს, მთავრობისა და საზოგადოებისაგან შესდგება, გამოდის, რომ ჩაჭრილან ყველა, და მათ შორის დეპუტატი მაკლაკოვიც თავისი შეხედულობით რეაქციაზე.

შემდეგ ჩხეიძე გაკვირვებას გამოსთქვამს როგორ შეუძლია მაკლაკოვი ერწმუნოს იმ მთავრობას, რომელიც, მისივე სიტყვით, ყოველგვარი საშვალებით ახელებდა ხალხს და ქაღალდზე დაწერილი მანიფესტიც კი შეშურდა მათთვის და ძალით ხელიდან გამოგლიჯა.

მაკლაკოვს გონია რომ ყველა ჩაიჭრენ ეგზამენზეო, მე კი ვფიქრობ, რომ არიან ისეთებიც, რომლებმაც ბრწყინვალეთ დაიჭირეს ეგზამენი. თქვენ, ალბათ, მიხვედრილი ხართ, ვიზედაც ვლაპარაკობ; თუ ვერ მიხვდით, მე მიგითითებთ. (საერთო სიცილია. ჩხეიძე მარჯვნივ ანიშნებს)...

**„ჭ. რ.“ კავშირში** ამ დღეებში განახლება მოხდა. კავშირის საბჭოში აირჩიეს ახალი წევრები. განახლებულ საბჭოში მოხვდენ სახელმწიფო საბჭოს რამოდენიმე წევრი და სახელმ. დუმის 9 დეპუტატი, რასაკვირველია, უკიდურეს მემარჯვენეთა ფრაქციის. დუბროვინი კრებებს არ ესწრება. „მიხეილ მთავარ ანგელოზის“ კავშირმა პურიშკევიჩის მეთაურობით დუბროვინს წერილი გაუგზავნა და სინანული გამოსთქვა იმის შესახებ, რომ ასეთმა „სახელოვანმა“ მოღვაწემ კავშირის საბჭოს წევრობაზე ხელი აიღო.

**პროსტიტუციასთან ბრძოლა.** 19 თებერვალს მოხდა საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა, რომელსაც მინდობილი აქვს მოიწვიოს პირველი სიეზდი რუსეთში პროსტიტუციასთან ბრძოლის შესახებ. სხდომაზე გამოირკვა, რომ ბევრ საზოგადო მოღვაწეს განუცხადებია სურვილი, რომ სიეზდზე მონაწილეობა მიიღოს, მათ რიცხვში: ნაბოკოვს, მილიუკოვს, მწერალ ქალს ტირკოვას, ფინლიანდიის ქალთა საზოგადოების („თეთრი ლენტი“) თავმჯდომარე.

**კომისარჟევსკაიას დასაფლავება.** 20 თებერვალს პეტერბურგში ცივ სამარეს მიაბარეს ვ. ფ. კომისარჟევსკაიას გვამი. დასაფლავებას დიდძალი ხალხი დაესწრო. სასაფლაოზე ბევრი მგრძნობიარე სიტყვები იქნა წარმოთქმული. სხვათა შორის სიტყვები წარმოსთქვეს: ალექსანდ. თეატრის ცნობილმა მსახიობმა დავიდოვმა, ლიტერატორმა არაბაჟინმა, ცნობილმა ნ. მოროზოვმა, პროფეს. ადრიანოვმა, სახ. დუმის წევრმა ა. ი. გუჩკოვმა, მარინსკის თეატრის მსახიობმა სიბირიაკოვმა, ლ. ბ. იავორსკაიამ, კომისარჟევსკაიას თეატრის რეჟისორომა ნევოლინმა, სტუდენტებმა, კურსისტებმა და მუშებმა.

ნ. მოროზოვმა თავის სიტყვაში, სხვათა შორის, სთქვა: „ვერა ფედოროვნა იბრძოდა საუკეთესო მომავლისათვის არა მარტო სცენაზე, არამედ ცხოვრებაშიაც. მისი ცხოვრება იყო მუდმივი ბრძოლა, შეუწყვეტელი ძიება ახალი გზებისა და ახალი იდეალების. საუკეთესო მომავლისათვის მებრძოლთა რაზმს, ვერას დაკარგვით, ერთი საუკეთესო მებრძოლთაგანი მოაკლდა“...

# პროვინცია

**სოფ. ბ.—ციხე** (გურია). ამ დღეებში მივიღეთ ნებართვა ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობისაგან წიგნთ-საცავ-სამკითხველოს გახსნის შესახებ. 2 თებერვალს მთავრობის ნებართვით შესდგა სამკითხველოს წევრთა დამფუძნებელი კრება. მიუხედავათ იმისა, რომ ხალხს ათასგვარი გაჭირვება კარს ადგია, ბევრი მათგანი არ ზოგავს უკანასკნელ გროშს, რომ ასეთ კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებას საფუძველი ჩაუყაროს. კრებაზე უმეტესობამ სურვილი გამოსთქვა დაარსონ სამკითხველო ქართველი მწერლის გიორგი წერეთლის სახელობაზე. შემდეგ არჩეულ იქნა გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრები: 1. ბლ. მღვ. ზაქ. ცინცაძე, 2. რაფ. შარაშიძე, 3. იაგ. შარაშიძე, 4. სამს. კალანდაძე, 5. დომ. შარაშიძე; სარევიზიო კომისიის წევრებათ: 1. ათონ ცინცაძე, 2. ამვროსი ინწკირველი, 3. ვლად. სიხარულიძე. გამგეობის წევრები ჯერ-ჯერობით ენერგიულათ შეუდგენ თავის საქმეს. რადგან საკუთარი შენობა არა აქვთ, ბინა უნდა დაიქირაონ. იმედია გამგეობა არ დაზოგავს შრომას, რომ როგორმე ახლო მომავალში საკუთარი შენობა შეიძინოს სამკითხველოსათვის, რაც აუცილებელია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ სოფელში ბიბლიოთეკა პირველათ იხსნება. ამის გამო არავითარი ქონება წიგნით თუ ფულით მას არ მოეპოვება. აუცილებელი საჭიროა დახმარება გარეშე საზოგადოებისაგან. ვსთხოვთ ყველა ხალხის გულშემატკივართ, ვინც პატივს სცემს ხალხის განათლების საქმეს, გაგვიწიოს დახმარება ამ მეტათ სიმპატიურ საქმეში წიგნებით იქნება თუ ფულით. ვთხოვთ წიგნების გამომცემელ პირებს თუ ამხანაგობებს, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს დაგვითმონ თავისი გამოცემები უფასოთ ან ფას-დაკლებით. მოვუწოდებთ ამ სოფლიდან სხვადასხვა ქალაქებში გასულ პირებს შეაგროვონ შემწეობა ჩვენი ბიბლიოთეკის სასარგებლოთ. შემოწირულება გამოიგზავნება შემდეგი ადრესით: Чохатаури Благочин. свящ. Захарію Цинцадзе, для библіотеки. ყველა შემომწირველთა სია გაზეთში იქნება გამოცხადებული. „შვიდობაურელი“

—

**სოფ. მეტეხი.** ამ ორი კვირის წინეთ აქ მოხდა ფრიად შემაძრწუნებელი ამბავი: აჭაურმა მცხოვრებმა ილო დათაშვილმა ხანჯლით მოკლა თავისივე ბიძაშვილი დათაშვილი და დასჭრა მისი ძმა, რომელიც მალე გარდაიცვალა. როგორც ამბობენ, მკვლელობა პირად ნიადაგზე მოხდა. მოკლულის მედიცინურ შემოწმების შემდეგ დაასაფლავეს. მკვლელი შეიპყრეს და გორის ციხეში გაგზავნეს. აქ დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს აჭაური მცხოვრებნი: ალექსი მირზაშვილი, დავით კალატოზიშვილი, სანდრო ქამხაძე და მ. აბუშვილი, მიზეზი დაპატიმრებისა გამომრკვეველია. იანვრიდან აქ დაინიშნა მამასახლისათ ბოჭორაძე. როგორც ადგილობრივი მცხოვრები. ის გაცნობილია ხალხს და აგრეთვე ადგილობრივ მოთხოვნილება-საჭიროებებსაც და იმედია შესაფერ სამსახურს გაუწევს ხალხს. **აჭაური.**

# უცხოეთი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

**ეპისკოპოსის გასამართლება.**

ჩვენს გაზეთში არა ერთხელ ყოფილა მოყვანილი ცნობები ამის შესახებ, თუ როგორი ბრძოლა სწარმოებს ამ ჟამათ საფრანგეთში საერო სკოლების გარშემო. სკოლებს ებრძვის განსაკუთრებით სამღვდელოება. ამას წინათ მათ მოწოდება გამოუშვეს საერო სკოლების წინააღმდეგ, სადაც მასწავლებლები მეტათ ცუდათ იყვნენ მოხსენებულნი. მათ აბრალებდენ ახალგაზდობის გარყვნას, მათ სარწმუნოებრივ გრძნობებზე ძალადობის ხმარას და სხ. ხსენებულ მოწოდებაზე ერთი ხელის მომწერთაგანი—ეპისკოპოსი დიუსნი საერო სკოლათა მასწავლებლების საერთო ფედერაციამ პასუხისგებაში მისცა, რომლის საქმე გაირჩა ქ. რეიმსში. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს პირველი პროცესია და მოსალოდნელია რეიმსის მაგალითს სხვა ქალაქებმაც მიბაძონ და მოწოდებაზე ხელის-მომწერნი ყველანი პასუხისგებაში მისცენ. მომჩივნები უჩიოდენ ეპისკოპოსს, როგორც მორალურ, ისე ნივთიერ ზარალს, რომელიც სკოლებს შეემთხვა ხსენებული მოწოდების წყალობით. ზარალი გამოანგარიშებული იყო 5,000 ფრანკათ. სასამართლომ დამნაშავეთ იცნო ეპისკოპოსი და მიუსაჯა ფედერაციის სასარგებლოთ 500 ფრანკის გადახდა. მოწოდებაში სასამართლოს აზრით თუმცა იყო ისეთი არ დასაშვები, ურიგო გამოთქმა, როგორიც არის —თითქოს საერო სკოლების მასწავლებელთ არ ჰქონდეთ შეგნებული საზოგადოებრივი მოვალეობა, რომ თითქოს ისინი შეურაცხყოფას აყენებენ თავიანთი მოსწავლეების სარწმუნოებრივ გრძნობებს და მასწავლებელთა კორპორაციასაც აქვს უფლება მოითხოვოს ზარალის ანაზღაურებაო, მარა ვინაიდან მოწოდების ავტორთ მისი შედგენის დროს არ უხელმძღვანელებიათ მდაბალი ხასიათის მოტივებით და ამნაირათ, ეპისკოპოსი დიუსნი შემდეგ ინსტრუქციებში, რომელიც მან თავის ეპარქიაში დაგზავნა, ცდილობდა მრევლში შეესუსტებინა ის შთაბეჭდილებანი, რაც მათ ხსენებული მოწოდების საშუალებით მიიღეს, ცდილობდა ფანატიზმი არ გაღვივებულიყო, ამიტომაც შეუმცირა სასჯელი, თორემ, ეჭვი არაა, იმდენსვე მიუსჯიდა, რამდენსაც კორპორაცია უჩიოდა. ამასთანავე, საქმის წარმოების ხარჯებიც სასამართლომ ეპისკოპოსს დაისხა და დააკისრა გადასახდელათ.

—

**პროპორციონალური არჩევნები.**

ამ ჟამათ დიდის ინტერესით ეკიდებიან საფრანგეთში პროპორციონალური სისტემით არჩევნების საკითხს. თუ რაში მდგომარეობს ეს სისტემა, ამის შესახებ წერილი უკვე გვქონდა ჩვენს გაზეთში მოთავსებული და ამიტომ აქ არას ვიტყვით; აღსანიშნავია მხოლოდ ის, რომ ასეთი სისტემის მოწინააღმდეგებს სხვათა შორის საბუთათ ის მოყავთ, რომ ხალხი შეუგნებელია, არა ესმის ასეთი არჩევნების რა, ამას გარდა, ვერც კი გაიგებს თუ როგორ უნდა მოახდინოს ეს არჩევნები და სხ. ამიტომ ამას წინათ ქ. ლილლში მოაწყვეს საცდელი არჩევნები იმის გასაგებათ, თუ როგორ მოიქცეოდა ხალხი. არჩევნებზე 3,000-მდე კაცი გამოცხადდა. ორატორებმა აუხსნეს ხალხს როგორც უნდა მოეხდინათ არჩევნები, რის შემდეგ საქმესაც შეუდგნენ. ერთ საათში ხმის მიცემას უკვე მორჩნენ და შეუდგენ დათვლას: არავითარი არევ-დარევა არ მომხდარა. შემდეგ გაიმართა კამათი ასეთი არჩევნების მოწინააღმდეგე—მომხრეს შორის. კრებამ სასარგებლოთ სცნო ასეთი არჩევნები და მას ერი განაჩენიც მიიღო.

# თეატრი და ხელოვნება

—

**ქიათურა.** კვირას, 21 თებერვალს, აქ სახალხო უნივერსიტეტის სასარგებლოთ წარმოადგინეს „პარიზელი ბიჭი“ და ორი პიესა რუსულათ (რუსული სცენის მოყვარეებმა). წარმოდგენამ შედარებით მწყობრათ ჩაიარა, თუმცა რუსულ წარმოდგენას მეტი ბუნებრიობა ეტყობოდა. „პარიზელ ბიჭში“ განსაკუთრებით კარგი იყო ვერა გარაზიშვილისა (პარიზელი ბიჭი), პირველი მოქმედება ერთობ მკვირცხლათ და ცქვიტათ ჩაატარა. ნასიამოვნებმა საზოგადოებამ ყვ-ვილები მიართვა მას. ქ. ნატალია სიხარულიძისამ ერთობ ანჩხლი და ბოროტი ბებია დაგვიხატა, საჭირო იყო მეტი ლმობიერება. არა უშავდა ალექსი გოგიბერიძესაც. რუსულ წარმოდგენაში კარგათ შეასრულეს თავიანთი როლები: ქქ. რაგოვენკო-დოლუშ და მაკაროვისამ. ი. გასილევი კომედიაში (По публикации) გვარიანათ იყო, თუმცა გრიმი ხნოვანობასთან შეუფერებელი ქონდა, დრამაში (Поцѣлуй первый и послѣдній, соч. П.) ხმის სისუსტის გამო შესაფერ შთაბეჭდილებას ვერ ახდენდა. წარმოდგენის გათავების შემდეგ საზოგადოებას აჩვენეს ცოცხალი სურათი: ქალი ხელში ლამპარით (დიზა წერეთელი), როგორც უნივერსიტეტის ემბლემა და მის წინ სამუშაო იარაღებიანი მუშები, მარა სურათი ერთობ ... დი გამოდგა და სასურველი ... ვერ მოახდინა. რაც შეეხება წარმოდგენის დაწყებას, გათავებას და ანტრაქტებს, აქ ხომ დაიტანჯა საზოგადოება და ის იყო. ანტრაქტები მოქმედებებზე ... ფიჭიშობ ... ორჯელ მეტი იყო, წარმოდგენა დაიწყეს გვიან და ძლივს სამის ნახევარზე გაათავეს, ასე რომ, მეორე დღე დამსწრეთათვის ნახევრათ დაიკარგებოდა.

ამას გარდა ადგილების ფასებიც შედარებით დიდი იყო, რის გამო წარმოდგენას ხალხი ნაკლებათ დაესწრო. შეიძლებოდა ფასები ნაკლები ყოფილიყო, ამით ხალხიც მეტი იქნებოდა და შემოსავალი კი. თუ ამას არ გადაამეტებდა, არ დააკლდებოდა მაინც. ჩვენის აზრით წარმოდგენებს მარტო კომერციული ხასიათი არ უნდა ქონდეს.

— ადგილობრივმა ადმინისტრაციამ მიიღო ვისგანაც ჯერ არს ცირკულიარი: თვალყური ადევნეთ, რომ თეატრში წარმოდგენების დროს არტისტებმა გადამეტებული და არა შესაფერისი ჟესტიკულიაცია არ იხმარონ. **ვ. მ—ი**

**წერილი რედაქციის მიმართ**

—

თქვენ პატივცემულ გაზეთის მე-14 ნ-ში მოთავსებულია კორესპონდენცია ხონიდან.

კორესპონდენტი გვეხება ჩვენ დაბის დეპუტატებს და ჩვენს ანგარიშებში რაღაც ბოროტ-მოქმედებას ხედავს, ეს ცილის წამებაა!!

ჩვენ ვთხოვთ კორესპონდენტს გამოგვყვეს სამართალში, წინააღმდეგ შემთხვევაში ჯერ სამედიატორო სამართალს მივმართავთ და თუ არ გამოგვყვა, იძულებული ვიქნებით ჩვენი შელახული სახელის აღსადგენათ მივმართოთ სისხლის სამართალს.

**ილარიონ ხაჭაპურიძე**
**გიორგი მაჭარაძე.**

—

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ დაუთმოთ ადგილი ამ ჩემს წერილს: გაზ. „ახალი სხივის“ მე-12 ნომერში მოთავსებულია ლიხაურიდან კორესპონდენცია ვიღაც ბუკს—ისა. სხვა მრავალ ჭორთან და სავსე ცილისწამებასთან ერთათ მეც ამოვუდივარ ნიშანში და ჩირქს მცხებს. თუ რამდენათ სიმართლეზეა დამყარებული მისი ცნობები ჩემს შესახებ, ამას დავინახავთ სამედიატორო სასამართლოში, სადაც გიწვევ მას. ვადას გაძლევ შვიდ დღეს. განაჩენი ჩვენს გაზეთში უნდა იქნას გამოცხადებული.

მედიატორებათ ვნიშნავ ვლადიმერ გ. თოიძეს და სიმონ სურგულაძეს.

პატივისცემით **სილვან თოიძე** *).

*) ბუქსის აღნიშნული წერილის საწინააღმდეგოთ რედაქციამ მიიღო 72 კაცის მიერ ხელმოწერილი საპროტესტო წერილი. რედ.

რედაქტორ-გამომც. მ. არველაძე


# განცხადება

## დ. სამტრედიაში

კვირას, 28 თებერვალს სასწავლებლის შენობაში, მოწვეულია წლიური საზოგადო კრება ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წევრებისა. განსახილველია შემდეგი საკითხები: გასული წლის ანგარიშების განხილვა-დამტკიცება, მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა, ახალი წევრების მიღება-დამტკიცება და სხვა...

კრება გაიხსნება დილის 11 საათზე.

**მატარებლების მიმოსვლა**
**15 ოქტომბრიდან 1909 წ.**

საათები აღნიშნულია თფილისის დროზე.

**თფილისიდან გადის**

**ბაქოსკენ:** საფოსტო № 4, 11 ს. 40 წ. საღ., სამგზავრო № 6, 8 ს. 11 წ., დილით სამგზავრო № 12, 10 ს. 11 წ. საღ., შერეული მე-IV კლასის ვაგონებით № 106, 7 ს. 3 წ. დილით.

**ბათუმისკენ:** საფოსტო № 3, 9 ს. 42 წ. დილით; სამგზავრო № 5, 1 ს. ღამით; სამგზავრო № 7, 8 ს. 10 წ. საღამოს; შერეული მე-IV კლ. ვაგონებით, 4 ს. 28 წ. დღით.

**თფილისში მოდის**

**ბაქოდან:** საფოსტო № 3, 8 ს. 42 წ. დილ., სამგზავრო № 5, 12 ს. 11 წ. ღამით; სამგზარო № 11, 10 ს. 47 წ. დილ.; შერეული მე-IV კლ. ვაგონებით № 107 3 ს. 16 წ. დღით.

**ბათუმიდან:** საფოსტო № 4, 10 ს. 40. წ. საღამოს; სამგზავრო № 6, 7 ს. 21 წ. დილით; სამგზავრო № 8, 12 ს. 17 წ. დღით; შერეული მე-IV კლ. ვაგონებით № 106, 5 ს. 53 წ. დილით.

**თფილისიდან გადის**

...ში: სამგზავრო-საქონლის № 9, 3 ს. 23 წ. დღით.


სტამბა „შრომა“, რუსთ. № 3.